

## ფატი ფირუშვილი

### ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ ზოგიერთი ასპექტი

ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ ილია ჭავჭავაძის „განდეგილმა“ გამოსვლისთანავე დიდი ვნებათაღელვა დაბადა ქართველ საზოგადოებაში. აზრი ორ, თითქმის ურთიერთგამომრიცხავ, ნაკადად გაიყო: თუ ერთნი ილიას უკიჟინებდნენ, რომ „კალამა უმტყუნა“, „უაზრო თხზულება დაგვიწერა“, რომ „განდეგილი“ „უსუსტესია როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით“ (დავით კეხელი), „ამას ვერ დავარქმევთ ჩვენის მწერლობის ფეხის წინ წადგმას“ (ესტატე ბოსლეველი), მეორენი - პირიქით - ამტკიცებდნენ, რომ „განდეგილი“ დამამთავრებელია და დამაგვირგვინებელია რეალური მიმართულების განვითარებისა“ (კიტა აბაშიძე)... „განდეგილის“ შექმნის შემდეგ სახელი ილიასი, როგორც პირველხარისხოვანისა და ღრმად მოაზროვნე მოგონისა, უფრო გაითქვა და განდიდდა, სამარადისო თემა, ჩაქსოვილი ამ პოემაში, თემა სულისა და ხორცისა, კეთილისა და ბოროტისა, რწმენისა და ურწმუნოების ოლიმპის მწვერვალამდე ამაღლებს ილიას და ჭკმნის მის გარშემო თავყვანისცემის ატმოსფეროს“ (გრ. ყიფშიძე).

თავისთავად ფაქტი, რომ ამ პოემამ ასეთი განსხვავებული შეფასებები დაიმსახურა, გარკვეულწილად, ერთ რამეს მეტყველებს: „განდეგილი“ საკმაო მასალას იძლევა დაფიქრებისა და განსჯისათვის. მიუხედავად მისი მრავალგზის და მრავალმხრივ, ზერეულე თუ გამოწვლილვითი ანალიზისა, სათქმელი მაინც რჩება.

შევეცდებით ზოგიერთი საკითხი რამდენადმე განსხვავებულად წარმოვადგინოთ:

უპირველეს ყოვლისა - რა იყო ილიას მიზანდასახულობა „განდეგილის“ წერისას? ილია არ განეკუთვნება იმ პოეტთა რიგს, რომლებიც მხოლოდ სიტყვის მუსიკით თვრებიან და ათრობენ მსმენელს. ის თვითონ აცხადებს კატეგორიულად: „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცამაო“. მაშასადამე: ა) ილიას ესთეტიკური მრწამსის სამირკველში დევს პრინციპი: პირველ ყოვლისა - იდეა, აზრი და არა მუსიკა, არა მშვენიერი ფორმა, არამედ - ღრმა შინაარსი! ბ) ილია (საერთოდ - პოეტი!) უფლის (ცის) სიტყვის მომტანია ადამიანებთან (ქვეყნად, მიწაზე)!

მაშ, რა ჩაიფიქრა ილია ჭავჭავაძემ, რის თქმა უნდოდა მკითხველისთვის „განდეგილით“?

კარგა ხანია უარყოფილია აზრი, რომ „განდეგილი“ ასპექტიზმის, განდეგილობის, ბერმონაზვნური ცხოვრების უარყოფაა. საერთოდაც რომ დაიბადა ასეთი კურიოზული ინტერპრეტაცია „განდეგილისა“, მნელი დასაჯერებელია - რატომ უნდა ექცია ილიას თავისი შემოქმედების (მით უმეტეს - კრიტიკის) საგნად ასპექტიზმის პრობლემა, როცა XIX საუკუნის საქართველოში, სამწუხაროდ, პირიქით იყო საქმე - ბერ-მონაზონთა მომრავლება კი არ უშლიდა ხელს აქტიურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ცხოვრება-მოღვაწეობას, არამედ მათი რიცხვი ადრინდელ საუკუნეებთან შედარებით კატასტროფულად შემცირებულიყო, ქართული სასულიერო სავანეები გაუკაცრიელებულიყო და ბევრი აღარ იწუხებდა თავს „სულიერი თავლის“ შემზადებით.

ანდა, ილია ის კაცი იყო, რომელსაც არ ესმოდა სულიერი მოღვაწეობის მნიშვნელობა, ლოცვის, როგორც უდიდესი შრომის, ფასი, რომ დამდგარიყო და თავისი შემოქმედებით ბერობის წინააღმდეგ გაელაშქრა?! თავი რომ დავანებოთ იმას, რომ თვითონ უნდოდა ბერად აღკვეცა, მის წერილებში განა ერთი და ორი კეთილი, მაღლიერებით სავსე სიტყვა გვხვდება დიდი სულიერი მამების მისამართით? (მაგალითად, „ათონის ქართული სავანის შესახებ“)

ეს საკითხი აღარცაა საკამათო და ილიას „განდეგილს“ ამ თვალთ აღარც კითხულობს ვინმე.

გადატანითი მნიშვნელობით განდეგილობის - საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდგომის - კრიტიკაც არ უნდა იყოს ილიას პოემის მიზანი. „განდეგილს“ ამგვარი ახსნის სათავე კიტა აბაშიძის წერილებშია. ამ მოსაზრებამ კარგა ხანს მოიკიდა ფეხი ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში. ამგვარ ინტერპრეტაციას ზურგს უმაგრებდა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: „მომრაობა და მარტო მომრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი!“

რადგან ილუპება პოემის მთავარი პერსონაჟი - განდეგილი, ალევორიულად ეს განდეგილობის - საზოგადოებისაგან განდგომის - იდეის განწირულებად მიიჩნეოდა და ამგვარი ინტერპრეტაციით პოემა ბუნებრივად ეწერებოდა ილიას ფილოსოფიურ და ესთეტიკურ მრწამსში - „მგზავრის წერილების“ ერთ-ერთი სახე - მცინვარი - ხომ სწორედ ამ კონცეფციის დადასტურებაა!

მაგრამ რა ლუპავს განდეგილს - თავისი მოღვაწეობა, მის მიერ არჩეული გზა თუ ამ გზიდან გადახვევა, სისუსტე, რომელიც მან დასახული მიზნისკენ მიმავალ რთულ, დაბრკოლებებით სავსე სავალზე გამოიჩინა?

პოემის ანალიზი ცხადყოფს, რომ განდეგილის დაღუპვის მიზეზი სწორედ ეს უკანასკნელი იყო - აქედან გამომდინარე, ვიზიარებთ აკაკი ბაქრაძის მოსაზრებას, რომ „განდეგილს“ მეშვეობით ილიას უნდოდა ეჩვენებინა: „ქვეყნის ხსნა ვერ განხორციელდება თვინიერ პიროვნების ხსნისა... როცა პიროვნების სრულყოფის პროცესი მთავრდება, მერე იწყება ერის ხსნა. ყოველმა კაცმა ხორცი უნდა მისცეს სულისათვის, მაშინ გაჩნდება შესაძლებლობა ერის განთავისუფლებისა“...

ამას შეიძლება დავამატოთ: ყოველ კაცს აქვს თავისი „გზა ხსნისა“. უფალი არ ზღუდავს ადამიანს კეთილ არჩევანში. ოღონდ უფლის მაღლი, უფლის საჩუქარი უბედურებად არ უნდა მიიღოს კაცმა. ეს იქნება უმადურობა. სწორედ ასეთი უმადური და უგუნური აღმოჩნდა ილიას განდეგილი, რომელმაც წარმავალი წარუვალს ამჯობინა, მოკვდავი - უკვდავს. აიღო ჯვარი და ვერ ზიდა! ილია კი სწორედ ამას ვერ მოუწონებდა კაცს - დასახული მიზნისაკენ არათანამიმდევრულ სვლას, თუნდაც წაბორძიკების შემთხვევაში გულის გატეხას, და დამარცხებას. ამიტომაც დაიღუპა მისი განდეგილი!

ქვეყნის ხსნა (ილიას უპირველესი საზრუნავი, მისი შემოქმედების ძირითადი პრობლემა, მისი ცხოვრების ძირითადი მიზანი!) მხოლოდ განწმენდილ, მტკიცე, საკუთარი ჯვრის უდრტვინველად მატარებელ კაცთა მეშვეობითაა შესაძლებელი.

უნებურად სოდომის დასჯის ამბავი გვახსენდება - ათი მართალი კაციც რომ არ აღმოჩნდა, თავიანთი სიწმინდით ეხსნათ ქალაქი!

ქართულ რეალობაში კი იქნებ ილია ერთ მართალ კაცსაც ვეღარ ხედავდა („მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,/ ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,/ რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,/ რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!“) თუ ბეთლემიც („სახლი ცხორებისა, გინა სიწმინდისა“ - საბა) ქარისა და ნადირის სათარეშო გამხდარა, როგორც ხატავს მას ავტორი პოემის ფინალში - მაშ, სად შეიძლება ქვეყნის მხსნელი - თავისი სიწმინდით მხსნელი - ვეძიოთ?! (სხვათა შორის, ილიამ რომ ბეთლემი შემთხვევით არ აირჩია ბერის საცხოვრებლად და რომ ეს მისთვის მნიშვნელოვანი დეტალია, ამაზე პოემის სათაურის ერთ-ერთ ვარიანტად ავტორის მიერ „ბეთლემის“ შერჩევაც მეტყველებს).

### მიძღვნა

საინტერესოა, რომ ილიამ ოლღა გურამიშვილს უძღვნა პოემა. რატომ მაინცდამაინც მას?

იქნებ ილიას ოლღასთანა ადამიანები ჰყავდა საქართველოს მხსნელებად წარმოდგენილი - თავიანთი ჯვრის უჩუმრად, უდვტვინველად მატარებელნი, არ მომჩივარნი: „გზა ხსნისა ესეთი მერგო მე უბედურსაო“? იმ ოლღასთანა, რომელმაც ასე გაამართლა ილიას იმედი - შენთან შეერთებით ჩემს მიზანს ქვეყნის სამსახურისას კი არ დავშორდები, კიდევ უფრო მივეჯაჭვები და ძალასა და ენერგიასაც კი შემმატებო!

მეტისმეტად ზერელე წარმოდგენა უნდა ჰქონდეს კაცს ილიას მოღვაწეობასა და, განსაკუთრებით, მის შემოქმედებით კრედოზე, რომ შემთხვევითობას მიაწეროს მის მიერ ამ თემის არჩევა (თუნდაც მიძღვნის ობიექტის შერჩევა) და ასეთი ვრცელი ნაწარმოების შექმნა.

ჩანს, ილიას ჩანაფიქრი საკმაოდ ღრმად ძევს „განდეგილის“ მხატვრულ სამოსელში და კიდევ მრავალი მოსაზრება გამოითქმება მასზე.

### მწყემსი ქალის მხატვრული ფუნქცია პოემაში

განდეგილისა და მწყემსი ქალის დიალოგი პოემის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია. ამ დიალოგში ჩნდება (გარეთ გამოდის) განდეგილის (ისევე როგორც ყოველი კაცის) არსებაში მარადიულად მიმდინარე, თუმცა გარეგნულად არგამოძღვანებული, ჭიდილი სულსა და ხორცს შორის. სწორედ აქ აშკარავდება, რომ ბერის სულიერი სრულყოფილების ხატი მოჩვენებითია. საკმარისია წუთისოფლის წარმავალი, ამაო სიამის თუნდაც ერთი წამით შემოჭრა მის ცხოვრებაში, რომ რუდუნებით ნაშენები რწმენის კოშკი ხუხულასავით დაენგრეს. ჩანს, ეს კოშკი უფლის სიყვარულის კლდეზე კი არა, ამაქვეყნის, ვითარცა „ცოდვის სადგურის“, უდაბნოს ქვიშასავით გამომშრალ-გამოფიტულ სიძულვილზე იყო დაშენებული (ეს კი, ცხადია, ერთი და იგივე არ არის!). - რა თქმა უნდა, თვითონ ბერს ეს არ ჰქონდა გაცნობიერებული. ამ მოსაზრების კონტრარგუმენტად თქმა იმისა, რომ განდეგილი ლოცულობდა და „წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა“ ევედრებოდა უფალს, ე.ი. კი არ სძულდა, უყვარდა ქვეყანა და ზრუნავდა მასზე, ნაკლებად სარწმუნოდ მეჩვენება. ეს უფრო მდგომარეობის მიერ დაკისრებული მოვალეობის (ბერია, ღვთის კაცია, სასულიერო

ცხოვრების გზაზე დამდგარი!) ფორმალურ მოხდასა ჰგავს (თუმცა შესაძლოა შემომედავონ - ავტორი ამბობს, „მხურვალედ“ ლოცულობდაო, და რა უფლება გვაქვს არ დავუჯეროთ?! მაგრამ ღვთის სიყვარულით სავსე გულს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მაცხოვრის მშობლის ხატში მიწიერი ქალის სახე დაენახა!)

მწირის „თვალი სულიერი“ და „ყური გულისა“ რომ დახშულია, ამას ისიც ნათელყოფს, მწყემსი ქალის სიტყვებში შეფარულ ერთგვარ გაფრთხილებასაც რომ ვერ შეისმენს;

ნიშანდობლივია: ქალი დაჟინებით იმეორებს, რომ მას **მამა** აფრთხილებდა, **მამა** უხსნიდა არ მინდობოდა მყინვარის მაცდურ სილამაზეს. მან კი არ მოუსმინა **მამას** - ურჩი შვილია!

ურჩი შვილია განდეგილიც - მასაც ყოველდღიური სასწაულით - ლოცვანის სხივზე დაყრდნობით - არა მხოლოდ შეეწეოდა უფალი, არამედ აფრთხილებდა კიდევ: დაეთრგუნა ხორცი და აემალეზინა სული!

„შვილი ურჩი“ კი „წარსაწყმედელსა მიეცესო“!

მწყემსი ქალი ბოროტი მწყემსია - კეთილი მწყემსის ანტითეზა. სეტყვამ ცხვარი გაუფრთხო - ვერ მიეშველა, დაღუპა მთელი ფარა. გავიხსენოთ მაცხოვრის სიტყვები: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის“(იოვანე 10,11). მან დაღუპა ცხვარი - მამის „სარჩო-საბადებელი - უძღები შვილია! - ამიტომაც „გზა არ წარემართა“.

„არ წარემართა გზა“ განდეგილსაც - მანაც დაღუპა მამის „სარჩო-საბადებელი“ - „ტალანტი მონაზონებისაი“ - თავის გულში ნაშენები რწმენის ტაძარი ანაცვალა „კარგ სანახავს“, ისევე როგორც მწყემსმა ქალმა ანაცვალა ფარა „კარგ სანახავს“ - საღამოს დამატყვევებელ პეიზაჟს.

ქალი დარწმუნებულია, რომ **მამა** „წარბსაც კი არ შეიხრიდა, ოღონდ ვენახე მე უვნებელი“ - კვლავ „უძღები შვილის იგავის აღუზია და კვლავ იგავური შეხსენება განდეგილისათვის უფლის ყოვლისმომტევებლობისა, უსაზღვრო სიყვარულისა და იმის შესაძლებლობისა, რომ წრფელი გულით მონანიებული ცოდვილი დაუბრუნდებოდა მამის წიაღს. მაგრამ ამ გაფრთხილების მოსასმენადაც დახშული აღმოჩნდა ბერის „ყური გულისა“ - „სასმენელნი უჩინონი“. შემდგომ კი, როდესაც სცოდა, თითქოს მოინანია, მაგრამ ბოლოს უფრო დიდი ცოდვა მიამატა ჩადენილს - იუდას უკანასკნელი, მომაკვდინებელი ბრალი - სასოების წაწყმედა: სენაკში დაბრუნებულმა მაშინვე უფლისაგან სასწაულის კვლავ მოვლინებით მოისურვა დამტკიცება იმისა, რომ შენდობილია და, როცა ლოცვანი სხივმა არ დაიჭირა, სასოებადაკარგული, სწორედ ამ უკანასკნელი ცოდვის გამო დაიღუპა.

ამგვარად, ნათქვამი რომ შევაჯამოთ, მწყემსი ქალი არ უნდა იყოს მხოლოდ ერთი ფუნქციის მატარებელი სახე - წუთისოფლის ხატის გამომსახველი. იგი უფრო ისეთივე გაორებული სახეა - ქვეყნიერისა და ღვთიურის ელემენტების მომცველი - როგორი გაორებულიცაა თვით განდეგილის არსება: მართალია, მას შემოაქვს სენაკში იმ სამყაროს ხსოვნა, რომლისგან განდგომასა და რომლის დავიწყებასაც ასე გულდაგულ ცდილობდა მწირი, აფორიაქებს მის „დამშვიდებულ“ სულს (სხვათა შორის, წმინდა მამები საგანგებოდ ურჩევდნენ ღვთისმსახურების გზაზე შემდგარ ადამიანებს, რომ ფიქრშიც კი მორიდებოდნენ იმ ადგილებში დაბრუნებას, რომელთაც მათი საერო ცხოვრების ეპიზოდები უკავშირდებოდა, მწყემსი ქალი კი სწორედ ეშმაკეული დაჟინებით ახსენებს განდეგილს

საერო წარსულს!), მაგრამ თვითონვე აქვს განცდა, რომ ურჩი და უძლები შვილია, და ინანიებს! ამასთან, არ არის შემთხვევითი, რომ „მამას“ არაერთხელ ახსენებს სწორედ იმ კონტექსტებში, რომელთაც განდეგილს ზეციური მამა უნდა მოაგონონ და განამტკიცონ.

სწორედ ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ მწყემსი ქალი - ეს არის მწირის შინაგანი, გაორებული სამყაროს განსხეულებული სახე და არა - ცალმხრივად, წუთისოფლის ხატი.

მწყემსი ქალის მიერ მამის ურჩობა, წუთისოფლის ტრფობა, მონანიება და მაცდურობა - ეს არის მწირის არსებაში მიმდინარე სულიერი ჭიდილის განსხეულებული ხატი.

### რამ დალუბა განდეგილი

საინტერესოა, რომ ადამიანის ხმის გაგონებისთანავე განდეგილი კრთება. მას უჩნდება შიში, რომ ეს შეიძლება იყოს „მავნე, აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან“. შემდეგ კი მორჩილად გადაწყვეტს:

„თუ მაცდური ხარ, ჩანს ღმერთს სწადიან,  
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს“.

როსტევენიც ასე ფიქრობს - ღვთის ნებაა, რომ ბოროტს გადავეყარო. სწორედ ამის საპასუხოდ ეუბნება თინათინი: „ბოროტიცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსაო“.

აქ გვახსენდება იაკობ მოციქულის სიტყვები: „ნუვინ განცდილთაგანი იტყუინ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი.“

არამედ კაცად-კაცადი განიცადების თუისისაგან გულის თქუმისა, მოიზიდვის და სცდების.

მერმე გულის თქუმაი იგი მიუდგის და შვის ცოდვაი და ცოდვაი იგი სრულ იქმნის და შვის სიკუდილი“ (იაკობ 1,13-15).

ეს არის ზუსტად ის გზა, რომელიც ჩვენ თვალწინ გაიარა განდეგილმა: განსაცდელი, მისთვის მოვლენილი, უფლისგან გამოგზავნილად მიიღო. სინამდვილეში კი იგი თავისივე გულისთქმისაგან განიცდებოდა. გულისთქმამ შვა ცოდვა (ფიქრში, განზრახვით) და ცოდვამ - სიკვდილი: ხორციელიცა და სულიერიც!

განდეგილმა ვერ გაუძლო მცირე გამოცდას: მწყემსი ქალი, თუ მას რეალურ ქალად აღვიქვამთ ( მას ეს სიბრტყეც აქვს!) და ამ ერთ მხატვრულ ფუნქციას დავუტოვებთ - არაფრით არ ცდილობს ბერის ცდუნებას. პირიქით - მას ვერც კი წარმოუდგენია, რომ განდეგილის გულში შეიძლება ავხორცული სურვილი დაიბადოს: სრული ნდობით გამსჭვალული უშიშრად მიიძინებს „ცეცხლისპირს“.

ახლა გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი დიდი საეკლესიო მამის - ეფრემ ასურის - ცხოვრებიდან: იმ სახლის ახლოს, რომელშიც წმინდანი ბინადრობდა, ცხოვრობდა მეძავი დედაკაცი. ეშმაკისაგან შეგულიანებულმა ქალმა გადაწყვიტა ბერის ცდუნება. მივიდა და უთხრა: „მე მსურს შენთან გავიყო სარეცელი“. ეფრემმა მიუგო: „თუ გსურს გაიზიარო ჩემი სარეცელი, იქით გაეშურე, საითაც მე მიგითითე!“ - და მეძავს ქალაქის მოედნისაკენ გაუძღვა, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა: „აქ აღვასრულოთ ცოდვა,“ - უთხრა ქალს. განცვიფრებულმა

ქალმა ჰკითხა: „განა სირცხვილი არაა ამდენი ხალხის წინაშე?“ ბერმა უპასუხა: „თუკი გრცხვენია ხალხისა, განა უფრო არ უნდა გრცხვენოდეს ღვთისა, რომლისთვისაც ცხადია ყოველი დაფარული?!“

შერცხვენილი ქალი უჩუმრად განშორდა წმინდანს.

ასე მოიგერია მიწიერი სიმდაბლის შემოტევა ეფრემ ასურმა თავისი სულიერი სიმაღლით.

ილიას განდეგილი კი დაეცა.

(ერთ დროს მოდური ე.წ. „ლიტერატურული გასამართლებებისათვის“ დამახასიათებელი მკაცრი ბრალდების ტონით ხომ არ განვსჯით ილიას განდეგილს? ბოლოს და ბოლოს, ლიტერატურის მაღალმხატვრულობა იმითაც განისაზღვრება, რამდენად დამაჯერებლად ხატავს ავტორი პერსონაჟის სულიერ კატაკლიზმებს. ეს პოემის დადებითი მახასიათებელია და არა ნაკლი).

ცხადია მიზანდასახულობა ჰაგიოგრაფიული თხზულებისა ილიას პოემის მიზანდასახულობისაგან განსხვავდებოდა და, შესაბამისად, პერსონაჟის ხატვისა და სხვა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებიც სხვადასხვა იყო.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ილიას მიზანი კონკრეტულად ამ პოემის წერისას ვერ ასცდებოდა მისი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საერთო მიზანს - ერის აღდგენას! ამდენად, განდეგილის ფსიქოლოგიური პორტრეტიც, პოემის ფსიქოლოგიური შრეც - საერთო, ზოგად კონტექსტში ეწერება - პიროვნება იღებს ჯვარს, რომელიც უნდა ატაროს ბოლომდე - ეს არის გზა ხსნისა! ილიას იდეალი მთლიანი პიროვნებაა!

პიროვნებათა ხსნის გზა კი ერის ხსნის გზაა!

ფატი ფირუშვილი